საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

# განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

## ბრძანება № 84

24 01 2012 წ.

ქ. თბილისი

### მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახურის უფროსის 2012 წლის 23 იანვრის №01-50 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“ - „გ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში - დაწესებულებები) მიერ მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ადგილების ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 25 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით.

2. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 3 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით.

3. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 16 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით.

4. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს გრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის, მათ შორის, ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

5. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი აკაკი სეფერთელაძე